განკარგულება:**გ-31. 31241176**
თარიღი:**26/04/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №24

2024 წლის 26 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს გაწვევისა და რეკრუტირების სამეგრელო - ზემო სვანეთის და გურიის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ლანჩხუთის მუნიციპალურ განყოფილებისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 122 [1] მუხლის მე-8 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის N536 განკარგულების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, 2026 წლის 1 იანვრამდე, გადასცეს სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს გაწვევისა და რეკრუტირების სამეგრელო - ზემო სვანეთის და გურიის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ლანჩხუთის მუნიციპალურ განყოფილებას უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, მხარეთა შეთანხმებით არსებული ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N 126 - ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.51.005) მეორე სართულზე არსებული ფართები: ოთახი N 101 - ს/კ 27.06.51.005.01.101 – 35,70 კვ.მ; ოთახი N 102 - ს/კ 27.06.51.005.01.102 – 36,30 კვ.მ; ოთახი N 103 - ს/კ 27.06.51.005.01.103 – 17,60 კვ.მ; ოთახი N 104 - ს/კ 27.06.51.005.01.104 – 17,20 კვ.მ; ოთახი N 113 - ს/კ 27.06.51.005.01.113 – 17,20 კვ.მ.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ოფიციალურად გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს მე-8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი